

საქართველოს კანონი „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“

1. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის რეგულირების სფეროა

1. ისეთი ორგანიზებული საქმიანობა ან ქმედება, რომელიც ეხება პირთა განუსაზღვრელ წრეს, ხასიათდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებული საფრთხით, მოიცავს განსაკუთრებით მნიშვნელოვან სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ინტერესებს ან დაკავშირებულია სახელმწიფო რესურსებით სარგებლობასთან
 2. საქმიანობა ან ქმედება, თუ მას ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან მის გამგებლობაში არსებული სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება
 3. საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულება, რომელიც ითვალისწინებს სასწრაფო სამედიცინო დახმარებას, საწარმოო ტრანსფუზიოლოგიურ საქმიანობას
 4. საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სამინისტრო ან სახელმწიფო-საექსპერტო დაწესებულება
- პასუხი 1

2. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა პრინციპით გაიცემა ლიცენზია და ნებართვა?

1. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლეს
 2. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს
 3. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესის სფეროს
 4. თუ საქმიანობა ან ქმედება უშუალოდ უკავშირდება ადამიანის სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის მომეტებულ საფრთხეს ან სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ინტერესების სფეროებს
- პასუხი 4

3. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, შესაძლებელია თუ არა უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ლიცენზია ან ნებართვა აღიარებულ იქნეს საერთაშორისო ხელშეკრულებით?

1. შეუძლებელია

2. შესაძლებელი არ არის, ვინაიდან ლიცენზია და ნებართვა გაცემული უნდა იყოს საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე
 3. შესაძლებელი არ არის, ვინაიდან ლიცენზია ან ნებართვა გაცემული უნდა იყოს საქართველოს კანონის საფუძველზე
 4. შესაძლებელია უცხო ქვეყნის მიერ გაცემული ლიცენზია ან ნებართვა საერთაშორისო ხელშეკრულებით ან კანონით აღიარებულ იქნეს და მიენიჭოს ისეთივე სამართლებრივი სტატუსი, როგორც აქვს საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე გაცემულ ლიცენზიას ან ნებართვას
- პასუხი 4

4. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, როგორ დგინდება ლიცენზიისა და ნებართვის გამცემი ორგანოები?
1. საქართველოს პარლამენტის დადგენილებით
 2. საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით
 3. კანონით ან საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით
 4. საქართველოს პრეზიდენტის გადაწყვეტილებით
- პასუხი 3

5. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ნებისმიერი პირი უფლებამოსილია წერილობით წარადგინოს თავისი მოსაზრებები განცხადების საჯარო გაცნობისათვის წარდგენიდან
1. 15 დღის განმავლობაში
 2. 10 დღის განმავლობაში
 3. 20 დღის განმავლობაში
 4. 25 დღის განმავლობაში
- პასუხი 3

6. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, ლიცენზიის გამცემის დასაბუთებული შუამდგომლობის გაზიარების შემთხვევაში საქართველოს მთავრობა იღებს გადაწყვეტილებას ლიცენზიის გაცემის ვადის
1. 1 თვით გაგრძელების შესახებ
 2. 3 თვით გაგრძელების შესახებ
 3. 6 თვით გაგრძელების შესახებ
 4. 9 თვით გაგრძელების შესახებ
- პასუხი 2

7. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა ვადაში და სად აქვეყნებს ლიცენზიის გამცემი ინფორმაციას ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ?

1. ლიცენზიის გამცემი გადაწყვეტილების მიღებიდან 10 დღის ვადაში საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ აქვეყნებს ინფორმაციას ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ

2. ლიცენზიის გამცემი გადაწყვეტილების მიღებიდან 5 დღის ვადაში საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ აქვეყნებს ინფორმაციას ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ

3. ლიცენზიის გამცემი გადაწყვეტილების მიღებიდან 7 დღის ვადაში საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში“ აქვეყნებს ინფორმაციას ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ

4. ლიცენზიის გამცემი გადაწყვეტილების მიღებიდან 15 დღის ვადაში საქართველოს ოფიციალურ ბეჭდვით ორგანოში – „პარლამენტის უწყებანში“ აქვეყნებს ინფორმაციას ლიცენზიის გაცემის, მასში ცვლილების შეტანის ან მისი გაუქმების შესახებ

პასუხი 1

8. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სარგებლობის ლიცენზიის გაცემის საწყის ფასს ადგენს

1. ლიცენზიის გამცემი

2. საქართველოს მთავრობა

3. საქართველოს პარლამენტი

4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

პასუხი 1

9. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სალიცენზიო პირობების შესრულებას აკონტროლებს

1. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო

2. ლიცენზიის გამცემი

3. საქართველოს მთავრობა

4. ადმინისტრაციული ორგანო

პასუხი 2

10. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა პერიოდში ხორციელდება სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგება?

1. ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 ივნისიდან 1 ივლისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას
 2. ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 სექტემბრიდან 1 ოქტომბრამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას
 3. ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 აპრილიდან 1 მაისამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას
 4. ლიცენზიის მფლობელი ყოველწლიურად, 1 იანვრიდან 1 თებერვლამდე ახორციელებს სალიცენზიო პირობების დაცვის შესახებ ანგარიშგებას
- პასუხი 3

11. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა ვადაში უნდა განხორციელდეს მშენებლობის ნებართვის გაცემა და მასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული წარმოების სტადიები?

1. 30 დღის განმავლობაში
2. 10 დღის განმავლობაში
3. 90 დღის განმავლობაში
4. 60 დღის განმავლობაში

პასუხი 4

12. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, რა ვადაში გაიცემა სანებართვო მოწმობის დუბლიკატი?

1. განცხადის მიღებიდან 2 დღის ვადაში
2. განცხადის მიღებიდან 5 დღის ვადაში
3. განცხადის მიღებიდან 7 დღის ვადაში
4. განცხადის მიღებიდან 10 დღის ვადაში

პასუხი 1

13. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სანებართვო პირობების შესრულების კონტროლს ახორციელებს

1. საქართველოს მთავრობა
2. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო
3. ნებართვის გამცემი
4. არცერთი პასუხი სწორი არ არის

პასუხი 3

14. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, კონკრეტული სახელმწიფო რესურსით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის თაობაზე აუქციონის ჩატარების შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება

1. აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 10 დღისა

2. აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 15 დღისა
 3. აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 25 დღისა
 4. აუქციონის გამართვამდე არაუგვიანეს 1 თვისა
- პასუხი 4

15. „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, პასუხისმგებლობის დაკისრების მიუხედავად, დადგენილ ვადაში ლიცენზიის მფლობელის მიერ სალიცენზიო პირობების შეუსრულებლობა გამოიწვევს

1. დაკისრებული ჯარიმის გაორმაგებას
 2. დაკისრებული ჯარიმის გასამმაგებას
 3. დაკისრებული ჯარიმის გაოთხმაგებას
 4. დაკისრებული ჯარიმის გაათმაგებას
- პასუხი 2